



მთავარი ეკონომიკა მიზნისი ბანკები და ფინანსები მსოფლიო ეკონომიკა ინფრასტრუქტურა საზოგადოება, პოლიტიკა კომერსანტ-რეპორტიორი ელექტრონული ვაჭრობა დეკლარაცია ძველი საიტი

რჩეულები / გახადე სასტარტო / კონტაქტი

მთავარი დღეს



2011-04-23 15:01:18
 ხუდონჰესის აგება სვანეთში მიკროკლიმატს შეცვლის?
 "პროექტის შედეგად, 3 ათასამდე ადამიანს გადასახლებენ"
 რადიო „თავისუფლების“ მასალები (tavisupleba.org), ავტორი ლელა კუნჭულია

საქართველოში ისევ დაიწყო კამათი მდინარე ენგურზე ასაშენებელი კიდევ ერთი ჰიდროელექტროსადგურის - ხუდონჰესის - მშენებლობასთან დაკავშირებით. საუბარია 650 მეგავატის სიმძლავრის ჰესზე, რომლის მშენებლობაზეც, წინასწარი ინფორმაციით, მილიარდი დოლარი დაიხარჯება. პროექტის განხორციელებას კვლავ ეწინააღმდეგებიან გარემოსდამცველები.

საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილია და ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებულ კონტრაქტს კომპანია "ტრანს ელექტრიკსთან" (Trans Electrica LTD) უახლოეს დღეებში მოეწერება ხელი. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის განცხადებით, კომპანიამ აიღო ვალდებულება, მშენებლობა დაამთავროს ის მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 6 წელიწადში.

"ტრანს ელექტრიკა", რომელმაც ხუდონჰესი 6 წელიწადში უნდა ააშენოს, პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, საერთაშორისო კომპანიის "კონტინენტალ ენერჯის" (Continental Energy) შვილობილი კომპანიაა. ცნობილია ასევე ის, რომ მასში ქართული მხარის ფინანსური წილიც დევს. თუმცა ამ ფაქტთან დაკავშირებით ჯერჯერობით ძალიან მწირი ინფორმაცია ვრცელდება.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კვლევებმა დაადასტურა, რომ ხუდონის მშენებლობა მომგებიანია. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი ინვესტიციები იქნება განხორციელებული და საკმაოდ რთული იქნება მისი მშენებლობა; მიუხედავად ამისა, ტექნიკურადაც შესაძლებელია მისი მშენებლობის განხორციელება და ეკონომიკურადაც მისაღებია, დღევანდელი ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით.

თუმცა ეს საკითხი გარემოსდამცველების საკმაოდ დიდ აღშფოთებას იწვევს. ისინი ამბობენ, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში დიდი ხმაურის შედეგად დაბლოკილი პროექტის - ხუდონჰესის მშენებლობის დაწყება ძალიან დიდ ზიანს მოუტანს საქართველოს და, უპირველეს ყოვლისა, სვანეთის რეგიონს. არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივის" ხელმძღვანელი მანანა ქოჩლაძე აცხადებს, რომ პროექტის განხორციელება გამოიწვევს მიკროკლიმატის შეცვლას. თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა სოციალურ პრობლემას ენიჭება:

"ამ პროექტის შედეგად, მოხდება 3 ათასამდე ადამიანის გადასახლება... სოფელ ხაიმის ჩამირვა გამოიწვევს მისი მიმდებარე სოფლების გადასახლებასაც... მთელ რიგ სოფლებს მისასვლელი გზა აღარ დარჩებათ."

მანანა ქოჩლაძე, ისევე როგორც სხვა არაერთი გარემოსდამცველი, საგანგებოდ უსვამს ხაზს მესტიის რაიონის სოფელ ხაიმის მოსახლეების საფრთხეს.

თავად ხაიმელები ამბობენ, რომ ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით სოფელში ჯერჯერობით მხოლოდ ყურმოკრულ ინფორმაციას ვლინებენ, რადგანაც მათთან შესახვედრად თბილისიდან არავინ ჩასულა. არადა, დედაქალაქში ხუდონჰესის თემაზე ყველაფერი პრაქტიკულად გადაწყვეტილია.



კვირის სტუმარი



Like 0 Tweet 0